საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ68. 68263229**
თარიღი:**18/11/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში, გელა კაპანაძის ქუჩა N28-ში მდებარე, 36.06.32.341.01.500 საკადასტრო კოდით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 37.14 კვ.მ ფართის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების მე- IV თავის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში, გელა კაპანაძის ქუჩა N28-ში მდებარე 36.06.32.341.01.500 საკადასტრო კოდით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 37.14 კვ.მ ფართის სარგებლობის (იჯარა) უფლებით გაცემის მიზნით.

2.განისაზღვროს:

ა) სარგებლობის უფლების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წელი, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასთან გააფორმოს სარგებლობის უფლების (იჯარა) ხელშეკრულება და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და აუქციონში გამარჯვებულს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი ბე/საგარანტიო თანხა;

ბ) ქონებით სარგებლობის (საიჯარო) საწყისი წლიური ქირა განისაზღვროს 2229 (ორი ათას ორასოცდაცხრა) ლარით. საიჯარო ქირაში არ შედის კომუნალური გადასახადი, წლიური საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარის მიერ განხორციელდეს ყოველთვიურად;

გ) წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობად განისაზღვროს, ქონების საწყისი წლიური ქირის 10%. აუქციონში გამარჯვებულ პირს შეტანილი ,,ბე“ ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის, ბოლო თვის

გადასახდელი ქირის ოდენობაში;

დ) ,,ბიჯი“-ს ოდენობად განისაზღვროს საწყისი წლიური ქირის 10%.

3. აუქციონი გაიმართოს 2026 წლის 19 ნოემბერს 13.00 საათზე და დასრულდეს 2026 წლის 9 დეკემბერს 13.00 საათზე.

4.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება და აღნიშნული ბრძანების მოთხოვნის სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge განთავსება.

5. ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე: www.kharagaulinews.gov.ge და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა).ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენში „ახალ ხარაგაულში“ .

6. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის.: ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი